ხელშეკრულება № 16

22. 09.2016წ.

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა, შემდგომში ,,შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის ლიანა ჯალალის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და ი/მ ,,ვასილ ვარდოშვილი" შემდგომში ,,მომწოდებლად" წოდებული, წარმოდგენილი ვასილ ვარდოშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე მეორეს მხრივ, თანხმდებიან შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ი/მ ,,ვასილ ვარდოშვილი" ვალდებულია სოფელ ხოვლის საჯარო სკოლას მიაწოდოს საქონელი კერძოდ: 35 კუბამეტრი სათბობი შეშა .

2.საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი

2.1. მომსახურება ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2.2. შესყიდვების ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადების და მიღება ჩაბარების აქტის სახით, რომლებიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით და ბეჭდით.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით. კერძოდ 1 მ³ სათბობ შეშაზე შემსყიდველმა უნდა გადაუხადოს მიმწოდებელს 84(ოთხმოცდაოთხი) ლარი , მთლიანი ღირებულება კი 35 კუბამეტრ სათბობ შეშაზე იქნება 2940(ორიათას ოთხას ორმოცი) ლარი.

3.2. ანგარიშსწორება წარმოადგენს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

3.3. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს :

4.11 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შეასაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულობებს:

4.2.1 გადაუხადოს ,,მომწოდებელს" საქონლის ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4.3 ,,მომწოდებელს" უფლება აქვს :

4.3.1 მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.4 ,,მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას :

4.4.1 ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემდეგ, ,, შემსყიდველს" მოთხოვნისთანავე გადასცეს შეძენილი საქონელი და შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნასთან.

6.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას ,,შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა.

6.3 შემოწმების შედეგად გამოვნელილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფეკტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

6.4 გამოვლენილი დეფეკტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

8. ზოგადი დებულებები.

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2 ხელშეკრულებაში ცვლილებები ან დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორ-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს , რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთისა და შემსრულებლის შეცდომებისა და დაუდევრობასთან , რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბაგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირენით და სხვა.

9.3 ფორს -მაჟრის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმამხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების გამზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი

თავისი შეხედულებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი არტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. შესყიდვების ობიექტის ხარისხი და გარანტია

10.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

,, შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
სსიპ სოფ. ხოვლის საჯარო სკოლა	ი/მ ,,ვასილ ვარდოშვილი“
მის: ქ. კასპი სოფ. ხოვლე	საბანკო რეკვიზიტები:
საიდენტიფიკაციო კოდი: 232550655	საიდენტიფიკაციო კოდი: 204578581
ბანკი სს,,ლიბერთი ბანკის“ კ/ფ	ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი:LBRTGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE61LB0121115403463000	GE24LB01211123504491000
სკოლის დირექტორი: ჯოხაძე ლიანა	
----------------------------------	----------------------------------